სსრ კავშირის 52-ე ჩემპიონატში პირველი წრის შემდეგ დარჩენილი იყო ერთი მატჩი თბილისის „დინამოსა“ და ლენინგრადის „ზენიტს“ შორის, რომელიც VI ტურში, 9 აპრილს უნდა შემდგარიყო თბილისში. ეს შეხვედრა გასულ კვირას გაიმართა და პირველი წრის „ლიმიტიც“ მთლიანად ამოიწურა.

„დინამო“ (თბილისი) – „ზენიტი“ (ლენინგრადი) 2:1 (2:1)
თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 2 ივლისი.

„დინამო“: გაბელია, ჩიქოვანი, ცხადაძე, ჭედია, ჯიშკარიანი, თეთრაძე, სვანაძე (ყიზილაშვილი, 27 წ.), ცვეიბა, ქეცბაია (აფციაური, ...), კაჭარავა, გოგიჩაიშვილი.
„ზენიტი“: ბირიუკოვი, იგნატენკო (ჟელუდკოვი, 46), სტეპანოვი, ...ჩიკი (ვედენეევი, 62), აფანასიევი, ლარიონოვი, ბარანიკი, ვორობიოვი, დანილოვი, რადჩენკო, სუხანოვი.
მსაჯი ვ. ბუტენკო (მოსკოვი).
გააფრთხილეს აფანასიევი.

რედაქციაში მოდის და მოდის ფეხბურთის მოყვარულთა წერილები, უმეტესობა უკმაყოფილებას გამოთქვამს თბილისის „დინამოს“ თამაშით და სატურნირო მდგომარეობით, მიაჩნიათ, რომ გუნდის ახალგაზრდა მოთამაშეებმა კიდევ მეტი უნდა გააკეთონ, გაცილებით მეტი იბრძოლონ შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად, თუმცა ამ გუნდს კარგა ხანია აკლია ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი. ახალგაზრდობამ, მიაჩნიათ გულშემატკივრებს, მეტი თავდადება და ენერგია უნდა გამოიჩინონ ამ ძნელ პერიოდში.

მაგრამ საკავშირო ჩემპიონატის ყოველ მატჩში ჩვენი გუნდი სულ ახალი და ახალი პრობლემების წინაშე დგება და პირველი წრის გამოტოვებული მატჩშიც ასეთივე პრობლემები ჰქონდა.

ლენინგრადის „ზენიტი“ ჩვენი უმაღლესი ლიგის ერთ-ერთმა უძველესმა წარმომადგენელმა 1984 წლის საკავშირო ჩემპიონატის ოქროს მედლები მოიპოვა, მაგრამ მას შემდეგ რატომღაც მკვეთრად გააუარესა თამაში და ახლა I ლიგაში გადასვლის ერთ-ერთი უპირველესი კანდიდატია. ჩვენ ყურადღებით ვაკვირდებოდით ლენინგრადელ ფეხბურთელებს, მათ რიგებში გამოდიოდნენ სწორედ 1984 წლის გმირები ბირიუკოვი, ჟელუდკოვი, სტეპანოვი, ვედენეევი, ლარიონოვი, აფანასიევი, დანილოვი, ბარანიკი, მაგრამ მათ თამაშში ძველი დიდების ნატამალიც არ ჩანდა. ყველამ კარგად იცის, რომ „ზენიტიდან“ წლეულს სხვა კლუბებში გადავიდა ორი საუკეთესო მოთამაშე სალენკო და დმიტრიევი, მთლიანად შეიცვალა ხელმძღვანელობა, ლენინგრადელთა საქმეები ჯერჯერობით ფრიად არასახარბიელოა, გუნდს კვლავ თავგამოდებული ბრძოლა უხდება ლიგაში დასარჩენად.

ძნელია გულდასმითი ანალიზი გაუკეთო იმ „ზენიტს“, რომელმაც სსრ კავშირის თასის გათამაშებაში თავის მინდორზე ანგარიშით 2:5 წააგო მეორე ლიგის წარმომადგენელთან კუიბიშევის „კრილია სოვეტოვთან“, ორივე წრის შეხვედრაში დამარცხდა ვილნიუსის „ჟალგირისთან“, წააგო ხარკოვის „მეტალისტთან“, ვოლგოგრადის „როტორთან“, ოდესის „ჩერნომორეცთან“, მაგრამ ამავე დროს სწორედ იმავე „ზენიტმა“ კიევში ფრედ ითამაშა „დინამოსთან“, ასევე თითო ქულა აიღო მოსკოვის „ტორპედოსთან“ და „სპარტაკთან“. ამიტომაც ძნელი ამოსაცნობი იყო ზენიტელთა გეგმები: რომელ მეტოქეს შეხვდებოდა თბილისის „დინამო“ პირველი წრის გამოტოვებულ მატჩში? მას, რომელმაც საკუთარ მინდორზე მარცხი განიცადა საკავშირო თასის მატჩში II ლიგის გუნდთან, თუ იმას, რომელმაც კიეველებთან, ტორპედოელებთან და სპარტაკელებთან თითო ქულის აღება შეძლო?

მატჩის დასაწყისში მართლაც ძნელი გასარკვევი იყო ძალთა შეფარდება, ვინაიდან დინამოელებმა თმაში ძალზე დაბალი ტემპით დაიწყეს. ხშირ შემთხვევაში მცველებიც კი უსარგებლოდ, ზედმეტად აწვდიდნენ ერთმანეთს ბურთს და ნაკლებად ფიქრობდნენ იერიშის წამოწყებაზე. „ზენიტს“, ეტყობა, ხელს აძლევდა თამაშის ასეთი მსვლელობა, 21-ე წუთზე სტუმრებმა მარჯვენა ფლანგზე წამოიწყეს შეტევა. მარცხნივ გადააწოდეს ბურთი და ბარანიკმა თვით გაიტანა გოლი შორეულ კუთხეში. გაბელიას ნახტომმა ოდნავ დაიგვიანა - 1:0.

მხოლოდ ამის შემდეგ გამოიჩინეს თბილისელებმა აქტიურობა. მათ ზედიზედ რამდენჯერმე მიიტანეს სახიფათო იერიში მეტოქის კარზე. 30-ე წუთზე მიუტევებელი ტექნიკური შეცდომა დაუშვა ლენინგრადელთა გამოცდილმა ცენტრალურმა მცველმა პანჩიკმა ბურთის მიღებისა. შექმნილი სიტუაციით კარგად ისარგებლა კაჭარავამ და გაათანაბრა ანგარიში 1:1.

ამის შემდეგ თამაში მთლიანად დინამოელთ უპირატესობით მიმდინარეობდა. „ზენიტის“ კართან მრავალი სახიფათო მომენტი შეიქმნა. ტაიმის ბოლო წუთზე ყიზილაშვილმა კარგად გადააწოდა კაჭარავას და ლენინგრადელთა კარში მეორე ბურთი აღმოჩნდა. 2:1.

შესვენების შემდეგ სტუმრები ბევრს ეცადნენ მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ გარდატეხა თამაშში ვერ შეიტანეს. დინამოელები კვლავ და კვლავ უტევდნენ, თავდასხმაში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ კაჭარავა, გოგიჩაიშვილ, კარგად ითამაშა ყიზილაშვილმა და საბოლოოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ „დინამო“ მხოლოდ მინიმალური უპირატესობას დასჯერდა, ანგარიში შეიძლება გაცილებით უფრო მეტიც ყოფილიყო მის სასარგებლოდ.

მოგების გარდა თბილისის „დინამომ“ გამარჯვებისადმი „სწრაფვის“ პრიზისთვის ბრძოლაში ქულაც დაიმსახურა.

რ. ქორიძე

ამ მატჩში საუკეთესო ფეხბურთელების პრიზები გადაეცათ სტუმართაგან - ბიუიუკოვს, მასპინძელთაგან - ცვეიბას. ეს პრიზები დააწესა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივმა. საგულისხმოა, რომ საგანგებოდ ამ მატჩისთვის ინსტიტუტმა დასტამბა სამახსოვრო ფურცელი, სადაც დაბეჭდილია სასწავლებლის წვლილზე ქარიული ფეხბურთის განვითარების საქმეში, აგრეთვე ის საქმიანობა, რაც ინსტიტუტს დღემდე გაუწევია ქართული ფეხბურთის პროპაგანდისთვის.

“ლელო” 04.07.1989